



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011709592625821

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

134615

29 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 133226/17; **თარიღი:** 22.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: შალვა გოგილაშვილის (პირადი ნომერი 01006013812) წარმომადგენელი იოსებ მიგრიაული (პირადი ნომერი 24001029618).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის შიდა ქართლის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „შიდა ქართლის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 882020595375-07 (05.10.2020) და რეგისტრაციის შესახებ № 892018333637-05 (03.05.2018) გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №882020595375-07 (05.10.2020) და რეგისტრაციის შესახებ №892018333637-05 (03.05.2018) გადაწყვეტილებების გაუქმება.

უძრავი ნივთების მისამართი: კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი თელადაგორი.

2018 წლის 23 აპრილს გიორგი დაბრუნდაშვილმა (პირადი ნომერი 01019006451) შიდა ქართლის რეგიონულ ოფისში წარადგინა №892018333637 სარეგისტრაციო განცხადება და მოითხოვა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თელადაგორში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

შიდა ქართლის რეგიონული ოფისის რეგისტრაციის შესახებ № 892018333637-05 (03.05.2018) გადაწყვეტილების საფუძველზე, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თელადაგორში მდებარე 2004 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 67.09.35.293), მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების № 324 (22.03.1998) აქტის და სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2016 წლის 31 ოქტომბრის №39/63707 საარქივო ცნობის საფუძველზე, დარეგისტრირდა გიორგი დაბრუნდაშვილის (პირადი ნომერი 01019006451) საკუთრების უფლება.

რეგისტრაციის შესახებ № 882020888184-03 (27.11.2020) გადაწყვეტილების საფუძველზე, ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთზე, სამკვიდრო მოწმობის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 200944247, თარიღი: 18.11.2020, ნოტარიუსი: რ. ზურაბიანი) საფუძველზე, დარეგისტრირდა შალვა დაბრუნდაშვილის (პირადი ნომერი 01019017444) საკუთრების უფლება.

№ 133226/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 179-ე, 180-ე, 181-ე, 182-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს რეგისტრაციის შესახებ № 892018333637-05 (03.05.2018) გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი, ხოლო ამავე კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით გარანტირებულია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 179-ე, 180-ე, 181-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში შალვა გოგილაშვილის წარმომადგენლის იოსებ მიგრიაულის №133226/17 (22.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი რეგისტრაციის შესახებ №892018333637-05 (03.05.2018) გადაწყვეტილების გაუქმების განხილვის მოთხოვნის ნაწილში.
2. № 133226/17 (22.03.2021 წ.) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს: შალვა დაბრუნდაშვილი (პირადი ნომერი 01019017444).
3. № 133226/17 (22.03.2021 წ.) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე შეჩერდეს 67.09.35.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება. რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერების პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამონაწერის მომზადება, ასევე, უფლების (გარდა საგადასახადო გირავნობისა/იპოთეკისა), უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია.
4. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ შიდა ქართლის რეგიონულ ოფისსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირს.
5. დაინტერესებულ მხარეს განემარტოს, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.
6. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.
7. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.
8. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი  დავით დევიძე